



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

1158-01-2-201903141012



N 01/1158

14/03/2019



აიიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 27102
თარიღი: 20 03 2019 წ.

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს,
ბატონ დავით ქუტიძეს
Nanovero71@gmail.com

ბატონო დავით,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მიმდინარე წლის 27 თებერვალს შემოსული თქვენი 2019 წლის 25 თებერვლის №43 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2018 წელს საავტომობილო გზების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, რეაბილიტაცია ჩატარდა 218 კილომეტრ საავტომობილო გზას და 21 ხიდს, ხოლო 2018 წელს დაიგო 9.5 კმ ახალი ასფალტობეტონის გზა. ამასთან, 2013-2017 წლებში დაიგო 136.5 კმ ახალი გზა, საიდანაც 2013 წელს დაიგო - 15.4 კმ, 2014 წელს - 41.4 კმ, 2015 წელს - 28.4 კმ, 2016 წელს - 23.3 კმ, 2017 წელს - 28 კმ, ხოლო რაც შეეხება საავტომობილო გზების რეაბილიტაციას, გაცნობებთ, რომ 2013 წელს რეაბილიტაცია ჩატარდა 260 კმ გზას, 2014 წელს - 265 კმ გზას, 2015 წელს - 254.3 კმ გზას, 2016 წელს - 222.8 კმ გზას, ხოლო 2017 წელს - 208.6 კმ გზას.

აგრეთვე, 2018 წელს აშენდა 29 ახალი ხიდი, ხოლო 2013-2018 წლებში აშენდა 155 ახალი სახიდე გადასასვლელი. გაცნობებთ, რომ ყველაზე გრძელი ხიდი აშენდა ქობულეთის შემოვლითი გზის (ლოტი 2) პროექტის ფარგლებში, სიგრძით 1180მ.

2013-2018 აშენდა სამი საავტომობილო გვირაბი, მათ შორის, ყველაზე გრძელი 1700 მეტრიანი გვირაბი აშენდა საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზაზე, დარიალის ხეობაში; ხოლო 2003-2012 წლებში აშენდა 39 ხიდი, მათ შორის, ყველაზე გრძელი 880 მეტრიანი პარალელური ხიდები აშენდა მდინარე ლიახვზე ქალაქ გორთან.

პატივისცემით,

დავით მეტრეველი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი



სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი